# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 25 მარტი 2006 №66 (2688) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურთი თუ მრგვალია, ყინული სრიალაა

## ელენა ვოდორეზოვა: პროგრამა შესაცვლელია!



კალგარიში, ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მოკლე პროგრამის დღე იყო და ელენე გედევანიშვილმა 75,27 ქულით 30 მონაწილეში მე-12 ადგილი დაიკავა. ელენე იმ 24 მოციგურავეში მოხვდა, რომლებიც დღეს თავისუფალ პროგრამას შეასრულებენ და მედლებს გაითამაშებენ. ეგაა, ევროპის ჩემპიონატსა და ტურინის ოლიმპიადაზე გედევანიშვილი მოკლე პროგრამით ლიდერთა ექვსეულში იყო. დღევანდელი თავისუფალი სრიალის წინ კი, დიდი შანსია, ათეულის მიღმა დარჩეს.

გუშინ გვიან ღამით ელენეს კალგარიში დაუკავშირდით, თუმც მისმა მწვრთნელმა ელენა ვოდორეზოვამ გვითხრა, კითხვებზე მე გიპასუხებთო...

— ძალიან იმედგაცრუებულები ვართ. ელენემ დასანანი შეცდომები დაუშვა, სამს პლუს სამი ბრუნი ჩვენი კოზირი იყო, მაგრამ სწორედ აქ შეცდა ელენე, არადა, კარგად დაიწყო ეს ურთულესი ილეთი, მაგრამ ეფექტურად ვერ დაასრულა. მარტო ამაშიც არ არის საქმე — პროგრამა შესაცვლელია, დროა, მაყურებელს და მსაჯებს ახალი რამ ვაჩვენოთ.

— გასაგებია, მაგრამ ელენეს უპირატესობა ყოველთვის მოკლე პროგრამა იყო. ამ შედეგით შეძლებთ ათეულში მოხვედრას?

— თავიდან ჩვენი მიზანი ხუთეულში კი იყო, მაგრამ ნახავთ, როგორ განვითარდა მოვლენები. შეუძლებელი არაფერია, ათეულთან სხვაობა მაინცდამაინც დიდი არაა.

— ანუ?

— ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ, ყინულზე კი ვის როდის დაუცურდება ფეხი, არავინ იცის. მთლიანობაში სეზონს წარმატებულად შევაფასებდი, რაც უნდა იყოს, ელენე ყველგან დებიუტანტი იყო და ლიდერებში ტრიალებს. ყველაფერი წინ არის. მთავარია სიახლე ვეძებოთ.

ბაჩო სვანიძე

# ბრიგელმა მასწავლებელი და ნასწავლი საქართველო ნახა



გურამ ფოლენჯაშვილის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო



## ყველაფერი შენს ხელთაა

ანა ტატიშვილმა მირზა გაიარა და დემენტიევას მიადგა

15

# მცხეთაში აიწონა-დაიწონაა



მალხაზ ძუთათელაძის ფოტო

მცხეთა, ლიდერი „ვიტ ჯორჯია“ და ამბიციური „ზესტაფონი“ — ძალიან საინტერესო გამოვა ამათი ჯახი და ძალიან ბევრ რამესაც გადაწყვეტს, ვინძლო, ჩემპიონობის ბედ-იღბალსც კი. ვიტელებმა თუ მოიგეს, მდევრებს გული დაუმძიმდებათ, თუ არა და, ერთი-ორად დაიძაბება რბოლა.

ეს საქართველოს ძველ დედაქალაქში და, ნუ დაგვავიწყდება, დღეს კიდევ ტურის შვიდი მატჩია: ზოგან მართლაც ბრძოლა იქნება, ზოგან კი შედეგს თვალდახუჭულიც გამოიცნობს კაცი. მაგალითად, რა უნდა მოხდეს, „სიონმა“ ბოლნისში „სოხუმთან“, „ამერმა“ კი გლდანში „დილასთან“ წაიფორხილონ?!

# ფრანგების ცხრა პარასკევი ორშაბათს დამთავრდება



რაიმონ დომენეკისგან პასუხი არ არის

**აშკარად** არ არის ისე იოლად საქმე, ჩვენ რომ გვეგონა — ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდარში შეტანილ ცვლილებებზე დასტურის სათქმელად საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას გუშინ საღამომდე ჰქონდა დრო მიცემული. 24 მარტიც მიიწურა, მაგრამ პასუხი არ ჩანს. ფრანგებმა დამატებითი ვადა მოითხოვეს, პასუხს ორშაბათს, 27 მარტს საღამოს შვიდ საათამდე გაახლებთო. ორშაბათს კენჭისყრის გამართვიდან ზუსტად ორი თვე სრულდება და ორი დღე რაღა მოსატანია, მაგრამ ეჭვი გვაქვს, ფრანგები ისევ პირს გვიტეხავენ.

სიმართლე ითქვას, ამაში მოულოდნელი არც არაფერი იქნება. შეგახსენებთ, რომ უეფას კენჭისყრით მიღებულ ვარიანტში პირველი შეხვედრა 2 სექტემბერს სწორედ საფრანგეთის ნაკრებთან გვიწევს. თუკი ფარერებთან მატჩის 16 აგვისტოსთვის გადმოტანაზე დაგვთანხმდებიან, ფრანგები ამით ფორას გვაძლევენ: კლაუს ტოპმიოლერს ყველაზე სუსტ მეტოქესთან სამი ქულით გუნების გამოკეთების და გუნდის კიდევ უფრო შეთამაშების შანსი ეძლევა. თავად ფრანგებისთვის კი 2 სექტემბრის მატჩი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ პირველი ოფიციალური იქნება და თბილისში ქულების დაკარგვა მათ გეგმებში ნამდვილად არ შედის.

რა გადაძალავს — ფრანგების პრაგმატიზმი თუ ქართული მხარისთვის მიცემული სიტყვიერი თანხმობა? ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პირველი, მაგრამ მაინც დაველოდოთ.

აქვე ვთქვათ ისიც, რომ ბუდაპეშტში გამართული უეფას კონგრესიდან უჩა უგულავა წუხელ უნდა დაბრუნებულიყო თბილისში. ნოდარ ახალკაცმა კი გერმანიაში გადაინაცვლა და მოგვიანებით მინდვრების იქაურ სპეციალისტთან ერთად დაბრუნდება. კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერები და რალფ მინგე თბილისში 31 მარტს ჩამოვლენ. მანამდე კლაუს ტოპმიოლერი რამდენიმე ქართველი ლეგიონერის მატჩზე სტუმრობას გეგმავს, რალფ მინგე კი მალტაში 12 აპრილს გასამართი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრისთვის შეგულებული ფეხბურთელების სიას საბოლოო სახეს მისცემს.

**გიორგი ნოზაძე**



# თბილისს ტყებუჩავა გაწვრთნის

**„თბილისს“** ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — თბილისის „დინამოს“, „ვიტ ჯორჯიას“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი დამრიგებელი გოჩა ტყებუჩავა მომავალი კვირიდან „თბილისს“ უთავკაცებს.

გიორგი დევდარიანის გადადგომის შემდეგ „თბილისს“ დროებით თენგიზ კაცია წვრთნიდა და დღეს „ბორჯომთანაც“ ის გაიყვანს გუნდს — ტყებუჩავა ამ თამაშის შემდეგ შეუდგება საქმეს.

ტყებუჩავა „თბილისს“ სეზონის ბოლომდე გაწვრთნის და მისი ამ გუნდთან სამომავლო თანამშრომლობის საკითხიც მერეღა გაირკვევა.

ახლახან „თბილისი“ გაძლიერდა 31 წლის ფორვარდ ზაზა ზირაქიშვილით, ხოლო 21 წლის გამთამაშებელი გოჩა ხოჯავა დაბრუნდება თუ არა, ჯერ ბოლომდე გადაწყვეტილი არაა — მიმდინარეობს მოლაპარაკება „თბილისსა“ და „როსტოვს“ შორის.

**დავით თაგართქილაძე**



# სულ კარგად ბრძანდებოდეთ!

## შალამბერიძემ ტორპედოს კარი მიუხურა

**მოულოდნელი** ამბავი ქუთაისიდან: გაძლიერებაზე მოფიქრალმა „ტორპედომ“ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დაკარგა — 21 წლის შემტევი ნახევარმცველი კობა შალამბერიძე რიონისპირელებს გაეყარა.

ეს ამბავი თუნდაც იმითაა უცნაური, რომ პირველ წრეში შალამბერიძე ტორპედოელთაგან ყველაზე მეტჯერ, ოთხჯერ მოხვდა ტურის სიმბოლურ ნაკრებში და ძირითადის უცვლელ წევრად ითვლებოდა. თუმცა მას რევაზ ძოძუაშვილის გუნდში მისვლის შემდეგ წაუვიდა საქმეები ცუდად — ახალმა თავმა შალამბერიძეს პირველივე დღეს მოუსპო შანსი...

„ახალი მწვრთნელების მოსვლის მერე ჩემი „ტორპედოში“ ყოფნა უაზრობა გახდა. ძირითადს ვინ ჩივის, გორის „დილასთან“ და „ბათუმთან“ მატჩების განაცხადშიც არ შემიყვანეს. ახალგაზრდა ვარ და ამგვარ სიტუაციას ვერაფრით შევეგუებოდი, მით უმეტეს, ვარჯიშებზე იმაშიც დავრწმუნდი, რომ „ტორპედოში“ დარჩენით მხოლოდ დროს დავკარგავდი" — გვითხრა გუშინ კობა შალამბერიძემ, ვისაც „ტორპედომდე“ თბილისის „სპარტაკში“ და „დინამოში“ უთამაშია.

და რას აპირებს ახლა 21 წლის ფეხბურთელი?

„არავის უაზრო ახსნა-განმარტებები არ მჭირდება. ხელმძღვანელობასთან მივედი, განთავისუფლების ფურცელიც გამოვართვი და „ტორპედოსაც“ საბოლოოდ გამოვემშვიდობე. უკვე რამდენიმე კლუბიც დამიკავშირდა და ვნახოთ... ვიცი, რომ უგუნდოდ არ დავრჩები და ამის არც მეშინია“ — იმედიანია შალამბერიძე.

**ლუკა თალაკვაძე**

# O, SANCTA SIMPLICITAS!

სიმართლე გითხრათ, არ ველოდით, ეს რუბრიკა ყოველკვირეული თუ გამოვიდოდა, მაგრამ ქართულ ფეხბურთში მოფუსფუსე ადამიანები იმდენ გულუბრყვილობას ამბობენ და აკეთებენ, საწერს რა გამოგვილევს.

მოთელვით დავიწყოთ და სერიოზულ გულუბრყვილობებზე, შეუსაბამობებზე თუ მისთანებზე მერე გადავიდეთ.

ამას წინათ „სიონი“ და „ბათუმი“ რომ დაეჯახნენ, მეგობარ გაზეთთან ინტერვიუში ბოლნისელთა ვიცე-პრეზიდენტმა დავით სილაგაძემ სიტყვას მოაყოლა და თქვა, წლეულს ფეარ-პლეის პრინციპებისადმი ერთგულება გამოვაცხადეთ და არანაირ გარიგებასა თუ მაქინაციაზე არ მივდივართო.

ეჭვი გვაქვს, „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტმა აზრი სწორად ვერ გამოთქვა. უნდა ეთქვა, წლეულსაც შარშანდელის, შარშანწინდელის და იმისწინდელის მსგავსად, გულში არ გავივლებთ თამაშის ჩაწყობასო. ასე კი გამოუვიდა, ადრე ვაწყობდით თამაშებს და ახლა გადავიფიქრეთო.

იმედი გვაქვს, სწორად გავიგეთ, თუ რისი თქმა სურდა დავით სილაგაძეს. აი, მომდევნო ფრაზის თაობაზე კი ვერაფერს დაგპირდებით — თუ ვინმე გაიგებთ, რას უნდა ნიშნავდეს...

საქმე საქართველოს თასის ნახევარფინალის წილისყრას ეხება. ბოლო მეოთხედფინალური შეხვედრა 18 მარტს გაიმართა და როცა მეორე მეგობარი გაზეთის კორესპონდენტმა პროფლიგაში იკითხა, ნახევარფინალის წილისყრას როდის ჩაატარებთო, უპასუხეს, 28 მარტსო. რატომ ასე გვიანო, დაინტერესდა კორესპონდენტი და ასეთი პასუხი მიიღო: ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით, ეგრე აჯობებსო.

ახლა კი ყველაზე ჭკვიანებს შეგიძლიათ, გონება მოიკრიბოთ და მოიფიქროთ, ნაკრების კონკრეტულად რომელი ინტერესის გათვალისწინებით დაინიშნა წილისყრა 28 მარტს.

ალბათ ასე წარმოუდგენიათ: თუ ადრე გახდება ცნობილი, რომ, ვთქვათ, „ზესტაფონი“ ნახევარფინალში „ვიტ ჯორჯიას“ დაეჯახა, ეს გიორგი განუგრავას ალბანეთის ნაკრებთან თამაშს დაღს დაასვამს.

უკეთესი არგუმენტის მოძიება კი, როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე ჭკვიანებისთვის მიგვინდვია.

*პატივისცემით, ავტორი*

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს თანამშრომელს ლია ბესელიას მეუღლის

**კახა გელუტაშვილის**

გარდაცვალების გამო

## ინგლისი

ჩემპიონატი. XL ტური

ბარნსლი 2:0 ნორვიჩი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXVII ტური

ბრაუნშვაიგი 2:0 პადერბორნი

დინამო 1:2 ბურგჰაუზენი

ოფენბახი 2:4 ალემანია

სამხრეთ რეგიონალლიგა XXIII ტური

მიუნხენი (მ) 0:1 ტრირი

დარმშტადტი 2:2 კარლსრუე (მ)

## ავსტრია

I დივიზიონი. XXIV ტური

ავსტრია (ლ) 2:1 ალტახი

გრატკორნი 1:1 კაპფენბერგი

კერნტენი 5:1 კუფშტაინი

ლინცერი 1:2 ავსტრია (მ)

ლეობენი 2:0 შვანენშტადტი

## იტალია

სერია B. XXXIV ტური

ჩეზენა 1:2 ტორინო

სერია C1/B. XXVIII ტური

პიზა 2:0 მანფრედონია

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXI ტური

ამიენი 3:2 ლავალი

ბასტია 3:0 ისტრი

კაენი 2:1 კლერმონი

შატორუ 1:1 გენგამი

გენიონი 1:1 გრენობლი

ვალანსიენი 1:0 რეიმსი

კრეტეი — სედანი *გადაიდო*

## ბელგია

იუპილერლიგა XXVIII ტური

შარლერუა 0:0 სტანდარდი

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXX ტური

ვიტესი 3:1 სპარტა

II დივიზიონი. XXXVI ტური

კამბური 4:1 ვეენდამი

ემენი 2:5 დორდრეხტი

ალმერე 3:3 გრაფსხაპი

ზვოლე 1:0 ჰაარლემი

სიტარდი 1:2 ეინდჰოვენი

ჰელმონდი 4:2 ვოლენდამი

ტელსტარი 0:1 ექსელსიორი

ოსი 3:1 მაასტრიხტი

ვენლო 1:0 დენ ბოსხი

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXVIII ტური

ნასიონალი — რიუ ავე

*30-ე წუთზე შეწყდა 0:0-ზე და დღეს გაიმართება*

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVI ტური

ბეშიქთაში 0:1 კონია

## პოლონეთი

პირველი ლიგა. XXI ტური

პოგონი 1:2 ვისლა

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი. III ტური

დერი 3:1 სლიგო

დუბლინ სიტი 0:1 დროჰედა

სენტ პატრიკსი 2:2 შელბურნი

უოტერფორდი 0:1 დუბლინი

კორკი 1:0 ბოჰემიანსი

ბრეი — ლონგფორდი *გადაიდო*

## ხორვატია

ნაციონალ ლიგა

პლეი აუტი. II ტური

ინტერი 4:3 ციბალია

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XX ტური

დიორი 0:0 ტატაბანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი მეგობარი

*ორი ძველი მეგობარი, კლაუს ტოპმიოლერი და ჰანს-პეტერ ბრიგელი ორიოდ დღის წინ ერთმანეთს ტირანაში შეხვდნენ... ოღონდ, როგორც მეტოქენი — ერთი, უკვე რა ხანია, ალბანეთის ნაკრების თავკაცია, მეორე კი ჩვენი ეროვნული გუნდის აშენებას ახლა იწყებს. ამათი მატჩიც, მოგეხსენებათ, ასევე მეგობრული ანგარიშით, 0:0 დამთავრდა, თუმცა ბრძოლა და სანახაობრივი მხარე შეხვედრას არ დაჰკლებიაო, ამბობენ მატჩზე დამსწრენი. მოკლედ, ტოპმიოლერისა და ბრიგელის შეგირდებმა ურთიერთობა „ქემალ სტაფას“ მოედანზე რომ გაარკვიეს, მერე გერმანელი მწვრთნელებიც პირისპირ და ტელევიზორის პირდაპირ დარჩნენ და გერმანიის ნაკრების ამერიკელებთან ამხანაგურ შეხვედრას უცქირეს. თავისთავად კი, მათი სამწყსოების პრობლემებზეც ისაუბრეს...*





## ბრიგელმა საქართველო საქართველოს არც შეადარა

— კლაუს ტოპმიოლერთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და, რა თქმა უნდა, მისი ტირანაში ჩამოსვლაც ძალიან გამიხარდა. შეიძლება ითქვას, თავს ტოპმიოლერის მოწაფედაც ვთვლი. სასიამოვნო იყო, რომ ერთმანეთს ჩვენი გუნდები შეხვდნენ — გვითხრა ჰანს-პეტერ ბრიგელმა — მართალია, არც ალბანეთს, არც საქართველოს უძლიერესი ფეხბურთელებით არ უთამაშიათ და, შესაბამისად, ჩვენი გუნდების რეალური ძალა-შესაძლებლობები ვერ დავინახეთ, მაგრამ მატჩი მართლაც კარგი, დაძაბული და თვალსასეირო გამოდგა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ მომავალში წამყვანი ფეხბურთელები უნდა დაგვემატონ, ჩვენი გუნდების თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

**— ამ მატჩამდე თქვენი ხელმძღვანელობით ალბანეთი საქართველოსთან ორჯერ ეთამაშა. ახლა კი საქართველოს ახალი მწვრთნელი ჰყავს. შეგიძლიათ, მაშინდელი საქართველოს ნაკრები ახლანდელს შეადაროთ?**

— არა, არ შემიძლია, რადგანაც შესადარებელი არაფერია. შესუსტებული შემადგენლობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს აშკარა პროგრესი ეტყობოდა, ახლანდელმა საქართველომ გაცილებით უფრო განსწავლული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ისე, ეს არც გამკვირვებია, ტოპმიოლერს რომ ძლიერი გუნდის კეთება შეუძლია, ალბათ, თქვენც კარგად იცით და ჩემგან მის საქმიანობაზე ლაპარაკი ეგებ ცოტა უხერხულიც იყოს.

**— გავიგეთ, რომ ალბანეთ — საქართველოს შემდეგ გერმანია — აშშ-საც ერთად უყურეთ...**

— დიახ, ერთად ვიყავით.

**— სალაპარაკოც ბევრი გექნებოდათ...**

— მართლაც ბევრი ვისაუბრეთ. ალბანური, ქართული და გერმანული ფეხბურთის პრობლემები გავარჩიეთ.

**— უფრო კონკრეტულად?**

— კერძო საუბარი იყო და დეტალებზე არაფერს გეტყვით. ტოპმიოლერისგან გარკვეული რჩევებიც მივიღე, უფრო მეტი კი ზოგადად ქართულ და ალბანურ ფეხბურთზე ვთქვით.

**— გერმანიის ნაკრებზე რა აზრის ხართ?**

— გერმანიას კარგი და ახალგაზრდული გუნდი ჰყავს, კლინსმანის ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ალბათ კიდევ მოუმატებენ და თამაშიც უფრო უკეთ გამოუვათ. თავადაც, რა თქმა უნდა, გერმანიის ნაკრების წარმატების იმედი მაქვს.

**— როგორც ვიცით, ალბანეთ — საქართველოს მატჩზე ერთ-ერთი გერმანული ტელეარხიდანაც იყვნენ...**

— ტირანაში გერმანელი მწვრთნელების გუნდები თამაშობდნენ და თქვენი კოლეგების ინტერესი ბუნებრივი იყო. მათ მატჩი გადაიღეს და მთელი საღამოც ჩვენთან ერთად გაატარეს. ალბათ საინტერესო გადაცემას მოამზადებენ.

**კობა ინასარიძე**

# ალბანური მეტაფორები

## ტოპმიოლერმა საქართველო ხილივით მოამწიფა, პენტაგონი ტირანას თბილისურად უყურებს



სასტუმრო „ტირანა ინტერნეიშენლში“ ამერიკელი სამხედრო გავიცანი. აქეთ გამიბა საუბარი, საქართველოში თქვენს ჯარისკაცებს ვწვრთნიდი და ალბანეთშიც თითქმის იგივე მისიით ჩამოვედიო. როგორ მოგწონთ ტირანა, როგორ შეადარებდით მას თბილისს-მეთქი. ჩემთვის ტირანაც და თბილისიც ერთი და იგივეა, ეს ქალაქები ერთმანეთს ჰგვანან და მერე რა, რომ ტირანაში მეძავები არ არიან?! ასეთი იყო ამერიკელის პასუხი

მის გულწრფელობაში ეჭვი შემეპარა და ეს ეჭვი მაშინ გამიძლიერდა, როცა შემპირდა, ალბანეთ — საქართველოს მატჩზე უეჭველად მოვალო და არ მოვიდა.

როსკიპების პოვნა ტირანაში ეგებ მართლაც ძნელია, მაგრამ ალბანეთის დედაქალაქი თბილისისგან კიდევ ისე განსხვავდება, როგორც ის ამერიკელი და ტირანელი პოლიციელი, რომელიც გზაჯვარედინზე არეგულირებს მოძრაობას და მის თვალწინ მანქანები წითელზე მიდი-მოდიან.

არის მსგავსებაც. შინ დაბრუნებისას თვითმფრინავში რომ ჩავსხედით, ხომალდის აფრენა გაჭიანურდა. თურმე ალბანელებს რაღაც საბუთები არ მოუწოდებიათ ჩვენი თვითმფრინავის ეკიპაჟისთვის და ხელახლა მოადგეს ტრაპი. მოკლედ, კარგა ხანს ვიყურყუტეთ აეროდრომზე. ჩამოვფრინდით თბილისში, გავიარეთ საბაჟო, მაგრამ აეროპორტიდან ვერ გამოვაღწიეთ — შემინულ კარს ბოქლომი ედო — აბა, რა ვიცოდით, თუ გამთენიისას რეისი იქნებოდაო — გვითხრა თბილისის აეროპორტის ერთ-ერთმა მომსახურემ. ჩარაზული კარი დაახლოებით ნახევარ საათში გაგვიღეს. ერთხელაც გამახსენდა ამერიკელი სამხედრო...

კლაუს ტოპმიოლერის ახალშექმნილ ბანაკში კი საქმე ჯერჯერობით რიგიანად მიდის. ტირანაში მყოფ საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში გუნდური სული ტრიალებდა — ტოპი თანაგუნდელობის პრინციპებს ისე ოსტატურად ამკვიდრებს, რომ ყველა სიმპათიით იმსჭვალება მის მიმართ — ეს ისეთი უნარია, რომელსაც სამწვრთნელო განათლება და ვერანაირი ლიცენზირება ვერ იძლევა. რომ გაიგო, როგორ ახერხებს ამას ტოპი, ან მის ბანაკში უნდა იცხოვრო, ან მის ბანაკს უნდა უყურო, თორემ ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია.

მისი თანაშემწე და ჩვენი 21-წლამდელების თავი რალფ მინგე თავისებური იუმორით გამოირჩეოდა, ხანდახან მიზანშიც ახვედრებდა ხუმრობას, მაგრამ მინგეს შანსები, იყოს იუმორით გამორჩეული ტოპის ბანაკში, ძალიან მცირეა — როცა სანაკრებო შეკრებაზე შოთა არველაძე და გიორგი დემეტრაძე ჩამოვლენ, ათ მინგეს გადაფარავენ — ასეთია ჩვენი პროგნოზი.

ალბანეთში ტოპის სამწყსო 20 მარტს ჩავიდა და სრულად იმავე დღეს, ოღონდ საღამოს რვა საათისთვის შეივსო — რამდენიმე ლეგიონერი ტირანაში გვიან ჩამოფრინდა და ჰერ კლაუსმა ვარჯიშზე ვერჩამოსწრებულებს სხვა ვარჯიში გამოუწერა — ძუნძული ღამის ტირანაში.

...გერმანელებს განსაკუთრებულად უყვართ ლიბერო, ამ სიტყვის ხმარება და ამ პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელები. მათ ჰყავდათ დიდი ლიბეროები — ფრანც ბეკენბაუერი და მათიას ზამერი, კარიერის მიწურულს ლიბერო იყო ლოთარ მათეუსიც. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კი ტოპმიოლერმა ლიბეროობა გიორგი სეთურიძეს ანდო, ხოლო ეროვნულში გიორგი შაშიაშვილს. განსაკუთრებული რისკი იყო შაშიაშვილის სასტარტოში დაყენება, რადგან მას ვლადიკავკაზის „ალანიაში“ უთამაშებლობის და არასრულფასოვანი მომზადების გამო წინა სეზონი, ფაქტობრივად, გაუცდა და დაკარგულის დაბრუნებას ახლაღა ეშურება თბილისის „დინამოში“. მაგრამ ტოპმიოლერი საკუთარ ალღოს ენდო და თამაშის შემდეგ შეაქო კიდეც შაშიაშვილი.

ძალიან პერსპექტიულ მცველად წარმოაჩინა თავი 19 წლის მათე ღვინიანიძემ, რომელსაც მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადასვლამდე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც კი არ უთამაშია. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ზაალ ელიავას ძლიერი თამაში, მეტს ველოდით ჯაბა კანკავასგან, ფხიანი და მარჯვე იყო ვასილ გიგიაძე, კარგად იბრძოლა კახა ალადაშვილმა...

ალბანეთში ჩვენმა ორივე ნაკრებმა 4-3-3 სქემით ითამაშა და ტოპიმ თქვა კიდეც, ვცდილობთ, საქართველოს ყველა ნაკრები ერთიან სისტემაში მოვაქციოთო. ჩვენმა უპირველესმა გუნდმა მართლაც აჯობა თამაშით ჰანს-პეტერ ბრიგელის გაწვრთნილ ალბანეთს, მაგრამ გასამარჯვებლად აკლდა ფანტაზია და კლასი, რომელიც იმ ლეგიონერებმა უნდა შემოიტანონ, ტოპმიოლერის ბანაკში საალბანეთოდ რომ ვერ ჩამოვიდნენ — ტირანის მატჩმა მოამწიფა ის ვითარება, როცა ძალიან საინტერესოა ტოპმიოლერის ქართული 4-3-3 ამ დროისთვის უძლიერესი ქართველი ფეხბურთელების შესრულებით.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

20 ტური ანონსი

# მცხეთაში ბარსელონას ვერ ნახავთ

## ვიტ ჯორჯია და სამი პირდაღებული მდევარი



პირველ წრეში ვიტელებმა „ზესტაფონი“ 4:0 გაანადგურეს

*დღეს კონტურების მოსახაზი ტურია. არა, ჩემპიონატი სულ მალე ფინიშის სწორზე გავა და თანდათან ფიქრი და ვნება უფრო მოიმატებს, მაგრამ დღეს ერთი ისეთი თამაშია, იქ თუ ლიდერმა მოიგო, ძალიან ძნელი იქნება მისი დაწევა.*

*მოკლედ, ტურის ეპიცენტრი მცხეთაშია, სადაც უმარცვალაძეობის გამო გოლებშემცირებული, მაგრამ მაინც მიჯრით მოგებებით თავმომწონე „ვიტ ჯორჯია“ „ზესტაფონს“ მასპინძლობს. ვიტელები 11 ქულით უსწრებენ ფეროელებს, პირველ წრეში სულაც 4:0 მოუგეს, მაგრამ ვეჭვობთ, ხვალაც ცალკარა გაჩაღდეს. თემურ მახარაძის გუნდი საკმაოდ მოლონიერებული ჩანს, რამაზ მუმლაძისა კი ცოტა კოჭლობს — ბოლო დროს სუსტ გუნდებს ოდენ კინკილა გოლით უგებს...*

*რამაზ მუმლაძე:* ჩვენ ყველა თამაშში მოსაგებად გავდივართ მინდორზე, ეს „ვიტ ჯორჯიასთვის“ უკვე ანაბანად იქცა.

**— თვლით, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში „ზესტაფონთან“ მატჩი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება?**

— ასე ვერ ვიტყოდი. ჩვენ ლიდერები ვართ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ დიდი ჰანდიკაპი არ გვაქვს. ახლა ისეთი პერიოდი გვიდგას, რომ თამაშებს ნაკლებ მნიშვნელოვნად და ძალიან მნიშვნელოვნად ვერ დავყოფთ. ისე, გეთანხმებით, „ზესტაფონთან“ მოგებას სხვა ელფერი ექნება.

**— პირველ წრეში „ზესტაფონს“ სტუმრად 4:0 კი მოუგეთ, მაგრამ იმ მატჩის შედეგი ხვალ რაიმე სახით იმოქმედებს?**

— ვერანაირად, მაშინ ხომ პირველი წრე იყო...

**— დისკვალიფიცირებული დავით ლომაიას გარდა კიდევ ვინმე ხომ არ დაგაკლდებათ?**

— რამდენიმე ფეხბურთელს მიკროტრავმა აქვს და ხვალ მეცოდინება ზუსტად, ვინ ითამაშებს და ვინ არა.

**— „ზესტაფონის“ ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყოდით?**

— ორიგინალური ვერ ვიქნები: „ზესტაფონი“ კარგად შეკრული გუნდია, ყველა რგოლი თანაბრადაა დაბალანსებული, ლიდერებიც ჰყავს, ოღონდ გამორჩევა არ მინდა.

*თემურ მახარაძე:* ძალიან რთული თამაში გვექნება. შანსებზე ლაპარაკს ვერ დავიწყებ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— სრული შემადგენლობით ემზადებით?**

— ტრავმები არაა. ეგაა, ჩვენი სამი ფეხბურთელი ნაკრებში იყო გამოძახებული და გადაღლილები არიან. არ ვიცი, მათ ვათამაშებ თუ არა.

**— „ვიტ ჯორჯიას“ მთავარ კოზირად რას თვლით და რომელ ფეხბურთელს გამოარჩევთ?**

— ძალიან მებრძოლი გუნდია, სწრაფად მოძრაობენ, რაც მათ კარგ ფიზიკურ მომზადებაზე მიუთითებს. ყველასგან დავით დიღმელაშვილს გამოვარჩევ.

**— როგორ ფიქრობთ, სანახაობრივად კარგი თამაში გამოვა?**

— ახლა თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. სანახაობრივად კი, მგონი, მხოლოდ „ბარსელონა“ თამაშობს.

...ბოლნისის „სიონს“ ძალიანაც უნდა „ვიტ ჯორჯიას“ წაბორძიკება, მაგრამ ეს მის სადღეისო სტრატეგიას არ ცვლის: „სოხუმს“ აუცილებლად უნდა მოუგოს და ვინმეს სჯერა, რომ გაუჭირდება? ბოლნისელთა თავკაცი კახა ცხადაძე ამ თამაშზეც ვერ დაჯდება სათადარიგოთა სკამზე და დისკვალიფიკაციასაც დღეს მოიხდის, „სოხუმს“ კი თემურ გადელიას სახით ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) დამრტყმელი ძალა მოაკლდება.

ანდრეი ჩერნიშოვის „დინამო“ ძალიან აჭრილია, მაგრამ „ცხინვალთან“ ვერმოგება ნამეტანი იქნება. დინამოელების მსგავსად, ძნელად რომ ქულები მოიკლოს „ამერმაც“, რომელსაც გიორგი დავითნიძე და გიორგი კვახაძე კი აკლია, მაგრამ მეტოქედ ღარიბ-ღატაკი „დილა“ ჰყავს. მოკლედ, ეს ორივე თამაში ცალგუნდა უნდა იყოს და ძალიან გაგვიკვირდება, სხვანაირად რომ მოხდეს.

...თვალმისაზიდი არა, მაგრამ ინტრიგული კი იქნება „სპარტაკი“ — „კახეთი“. თბილისელებს კარგი შანსი ეძლევათ, ბოლოსწინა ადგილიდან ერთი საფეხურით აინაცვლონ.

პრინციპული თამაში აქვს ქუთაისის „ტორპედოს“, რომელიც ფოთის „კოლხეთს“ მასპინძლობს და რიგის „სკონტოდან“ ჩამოყვანილ ლევან კორღალიძეს დაიხმარს. რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედო“ ჯერაც სახიფათო ზონაშია და...

ოთარ გაბელიას „ბათუმი“ კი ექსლოკომოტიველებით გაძეძგილი ესტუმრება „ლოკომოტივს“. ზღვისპირელებს საამსეზონოდ ამბიციები არ აწუხებთ, ეგაა, მეორე წრეში მაგარი ტემპი აკრიფეს და ალბათ კიდევ სამ ქულას ჩაახრამუნებენ.

დაბოლოს, აუტსაიდერის კურორტული გასვლით დავამთავროთ. „თბილისი“ უკვე თვალებში უყურებს პირველ ლიგას და რაღაც უნდა იღონოს. ეს „რაღაც“ კი ეგებ ზაზა ზირაქიშვილისა და გოჩა ხოჯავას დამატება აღმოჩნდეს. ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ორივე ფეხბურთელი საკმაო ძალაა და ვნახოთ... „ბორჯომი“ კი ის გუნდი აღარაა, პირველ წრეში შვიდმატჩიანი მოგებათა სერია რომ გამოაცხო, თანაც დისკვალიფიცირებული რევაზ გეწაძე არ ეყოლება.

**ილია ნანობაშვილი**

ბოლნისი. 25 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — სოხუმი

**მსაჯები:** დ. სანაია, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე, ჯ. ბუიშვილი;
**დამკვირვებელი:** თ. ლორთქიფანიძე

თბილისი. 25 მარტი. 15 საათი. ამერი

### ამერი — დილა

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ო. ხეცაძე;
**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

თბილისი. 25 მარტი. 15 საათი. ოლიმპი

### ლოკომოტივი — ბათუმი

**მსაჯები:** დ. სანაია, ზ. მენთეშაშვილი, კ. გუდურაშვილი, დ. ხარიტონაშვილი;
**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა

ქუთაისი. 25 მარტი. 15 საათი. ტორპედო

### ტორპედო — კოლხეთი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ლ. მიქელაძე, ხ. გაგნიძე, ლ. კვარაცხელია;
**დამკვირვებელი:** ა. ბაჩუკაშვილი

თბილისი. 25 მარტი. 15 საათი. შევარდენი

### სპარტაკი — კახეთი

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ნაკაიძე, ა. ორდინიძე;
**დამკვირვებელი:** ს. კუტივაძე

მცხეთა. 25 მარტი. 15 საათი. არმაზი

### ვიტ ჯორჯია — ზესტაფონი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა, მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, გ. ვადაჭკორია;
**დამკვირვებელი:** ა. დურსუნიში

გორი. 25 მარტი. 15 საათი. ქართლი

### ცხინვალი — დინამო

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, გ. ცირდავა, ზ. ფიფია, ვ. ელისაბედაშვილი;
**დამკვირვებელი:** დ. მენთეშაშვილი

ბორჯომი. 25 მარტი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — თბილისი

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ჯ. ბუიშვილი;
**დამკვირვებელი:** ი. ლორთქიფანიძე

**დისკვალიფიცირებულები:**

„ამერი“ — გიორგი დავითნიძე, გიორგი კვახაძე
„ვიტ ჯორჯია“ — დავით ლომაია
„ბორჯომი“ — რევაზ გეწაძე
„დილა“ — დავით ტლაშაძე
„სიონი“ — კახა ცხადაძე (მთავარი მწვრთნელი)
„სოხუმი“ — თეიმურაზ გადელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 19 | 15 | 3 | 1 | 39:10 | 48 |
| სიონი | 19 | 14 | 3 | 2 | 37:14 | 45 |
| დინამო | 19 | 12 | 3 | 4 | 32:13 | 39 |
| ამერი | 19 | 12 | 2 | 5 | 26:13 | 38 |
| ზესტაფონი | 19 | 11 | 4 | 4 | 26:15 | 37 |
| ბორჯომი | 19 | 11 | 1 | 7 | 32:17 | 34 |
| ლოკომოტივი | 19 | 10 | 4 | 5 | 29:17 | 34 |
| ბათუმი | 19 | 9 | 5 | 5 | 23:14 | 32 |
| კოლხეთი | 19 | 7 | 3 | 9 | 16:21 | 24 |
| კახეთი | 19 | 7 | 1 | 11 | 19:27 | 22 |
| დილა | 19 | 5 | 3 | 11 | 21:27 | 18 |
| ცხინვალი | 19 | 5 | 3 | 11 | 18:36 | 18 |
| ტორპედო | 19 | 4 | 5 | 10 | 14:26 | 17 |
| სოხუმი | 19 | 3 | 2 | 14 | 17:44 | 11 |
| სპარტაკი | 19 | 2 | 4 | 13 | 4:33 | 10 |
| თბილისი | 19 | 1 | 2 | 16 | 11:37 | 5 |

# დიდი ბოდიშის ამბავი
## გაზეთმა კისერი და რედაქტორი წაიტეხა




**ხუთშაბათს** მიუნხენური გაზეთი „თაგეს ცაიტუნგი“ უჩვეულო შესახედავი გახლდათ — პირველ გვერდზე გამორჩეულად ეწერა სიტყვა „ბოდიში“.

საერთაშორისო საფეხბურთო ამბებში ჩახედული კაცისთვის ძნელი მისახვედრი არ არის, რომ პატივცემულ გაზეთს ბოდიშის მოხდა „ბაიერნის“ 21 წლის ვარსკვლავისთვის, ბასტიან შვაინშტაიგერისთვის მოუხდა. მიზეზი: წინა პარასკევს „თაგეს ცაიტუნგში“ დაიბეჭდა წერილი, სადაც შვაინშტაიგერს თამაშების შეკვეთილი ანგარიშებით დასრულებაში სდებდნენ ბრალს, რაც ტყუილი გამოდგა.

ფეხბურთელისთვის ასეთი შეურაცხყოფის მიყენება სამსახურის დაკარგვად დაუჯდათ გაზეთის რედაქტორსა და სპორტის განყოფილების უფროსს.

იმავე წერილში შვაინშტაიგერთან ერთად მოხსენიებული იყო კიდევ ორი ფეხბურთელი, „მიუნხენ 1860“ მოთამაშეები პოლ აგოსტინო და ქუიდო ლანზაატი. ავსტრალიელმა აგოსტინომ შელახული თავმოყვარეობის აღსადგენად გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მედია-ადვოკატი დოქტორ კრისტიან შერცი აიყვანა და „თაგეს ცაიტუნგს“ სასამართლოში უჩივის. უნდა აღინიშნოს, რომ აგოსტინოს მხარში ამოუდგა გუნდის ქომაგთა მრავალათასიანი არმია, მხარდაჭერა აგრძნობინა საკუთრივ კლუბმაც და ბევრმა უბრალო მოქალაქემ.

„წინა პარასკევი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დღე იყო — თქვა დათრგუნულმა აგოსტინომ — ჩემმა მშობლებმა ეს ამბავი ადელაიდაში ტელევიზიით შეიტყვეს და სანამ დავურეკე და დავამშვიდე, კინაღამ მოკვდნენ, გულამოსკვნილები ტიროდნენ“.

აღსანიშნავია, რომ „თაგეს ცაიტუნგმა“ წინა შაბათს პატარა წერილში თითქოს სიტყვები უკან კი წაიღო, მაგრამ ავსტრალიელი მოთამაშე ამით არ კმაყოფილდება.

„ბოდიში მომიხადონ ისევე დიდად, როგორც ჩირქი მომცხეს“ — ამბობს ის.

**ბაჩუნა ძიძია**

# რონალდინიომ რობინიოს ბურთი ასწავლა




**ბარსელონაში** „ნაიკის“ სარეკლამო აქციაზე „ბარსას“ ჯადოქარი რონალდინიო და „რეალის“ ნორჩი ბრაზილიელი რობინიო შეხვდნენ ერთმანეთს. თუმცა რა შეხვედრა, „ნაიკის“ ტელეშოუს მთავარი გმირები სწორედ პენტაკამპეონთა ნაკრების ეს ორი ჩაუქი იყო. საცა რონალდინიო და რობინიოა, ცხადია, იქ ბურთიც იქნებოდა და იცოცხლე, „კამპ ნოუს“ გაუჩომ გაიხარა — სულ ციბრუტივით აბზრიალა ბურთი პირდაღებული დარბაზის და ტელემაყურებელთა თვალწინ... რობინიოც აღტაცებული მაყურებლის როლში გახლდათ, რეალელს მუხლი აწუხებს და რონისავით ფინტაობა ჯერ არ შეუძლია. ფინტი ფინტად და როცა ვარსკვლავური ტელეჯამბაზობა დასრულდა, მადრიდელმა და ბარსელონელმა ბრაზილიელმა კამერის წინ მათი გუნდების მომავალ ჯახზეც ისაუბრეს.

— „სანტიაგო ბერნაბუეზე“ ინჩასები შენი ბურთაობით გააგიჟე, ახლა ჩვენი ჯერია, „კამპ ნოუს“ ფანებმა ტაში „რეალს“ უნდა დაუკრან“ უთხრა რობინიომ „მტრის ბანაკში“ მყოფ ძმაბიჭს.

— ტაში შეიძლება, დაგიკრან, მაგრამ თამაშს მაინც „ბარსელონა“ მოიგებს — მიუგო რონალდინიომ.

ვარსკვლავებს გულიანად გაეცინათ, მერე ამას რამდენიმე ოხუნჯობაც მოაყოლეს და ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად ბრაზილიის ნაკრები გაიმარჯვებს.

— მუნდიალს ჩვენ მოვიგებთ, რონიმ დღეს ვარსკვლავური გაკვეთილები ჩამიტარა, თან იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მოედანზე გაუჩო და სხვებიც უფრო მაგრები არიან, თასი ვერსად გაგვექცევა — განაცხადა რობინიომ ტელეშოუს დასასრულს.

**ლადო ხომერიძი**

# შვიდი გოლი გამოიცნო

**საოცრება**: **BBC**-ს ოფისში მეილი მივიდა, სადაც მავანი ქომაგი წერდა, რომ „ბირმინგემისა“ და „ლივერპულის“ სათასო მატჩი 0:7 დამთავრდებოდა. მეტიც, ის ბრძანებდა, რომ პირველი გოლი პირველივე წუთზე გავიდოდა, შესვენებამდე კი „ლივერპული“ სამს მოასწრებდა.

წინასწარმეტყველი იყო, დალოცვილი?

შეიძლება, თუმცა შეცდომებიც ჰქონდა — ანგარიში ხაბი ალონსოს არ გაუხსნია და საკუთარ კარში ემილ ჰესკიმ კი არა, ოლივიე ტებილიმ გაიტანა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდა ამ ამბის შემდეგ „წინასწარმეტყველის“ ელექტრონულ მისამართზე?

ხოლო, უდიდესი საბუქმეიქერო ფირმის „უილიამ ჰილის“ პრეს ატაშემ გრემ შარპმა განაცხადა, რომ ამ ქომაგს იმ დღეს თუნდაც ერთი გირვანქა რომ დაედო ასს მოიგებდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# ჰიდინკი მიდის



**ჰოლანდიელი** მწვრთნელი გუს ჰიდინკი მიმდინარე სეზონის ბოლოს პსვ-დან წავა. მოგეხსენებათ, იგი ავსტრალიის ნაკრებსაც თავკაცობს და მუნდიალის დასრულების შემდეგ ამ პოსტსაც დატოვებს. 59 წლის ჰიდინკს ინგლისისა და რუსეთის ნაკრებს უკავშირებენ.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰიდინკის რუსეთის ნაკრებში მისვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ეს ოფიციალურად ჯერ არ დასტურდება, მაგრამ დიდი შანსია, სწორედ ასე მოხდეს. თანაც, ინგლისელი ქომაგები ხომ ნაკრების მწვთრნელად თვისტომს ითხოვენ. თავად ჰიდინკმა კი ახლახანს განაცხადა, ნამდვილად ვიცი, მუნდიალის შემდეგ რას ვიზამ, მაგრამ ჯერ ვერ გაგიმხელთო.

## ფეხბურთის რუკასთან

**იტალიელ** ფორვარდ კრისტიან ვიერის სჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება. მას მარჩელო ლიპისთან კარგი ურთიერთობის ეიმედება. „ბობოს“ ეროვნული ნაკრების მაისურით მსოფლიოს ჩემპიონატებზე 9 გოლი აქვს გატანილი და ერთ ბურთსაც თუ მიუმატებს „სკუადრა აძურას“ ისტორიაში მუნდიალებზე საუკეთესო ბომბარდირი გახდება. „ლიპისთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. მას დიდ პატივს ვცემ და სათქმელს ყოველთვის პირში ვეუბნებით ერთმანეთს. იმედი მაქვს, მუნდიალზე მოვხვდები და მეათე გოლსაც გავიტან“ — თქვა 32 წლის თავდამსხმელმა.

**ფრანგული** „მონაკოს“ მეკარე გიიომ ვარმუზმა სერიოზული ტრავმა მიიღო. მან ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და 6 თვე ველარ ითამაშებს. 35 წლის გოლკიპერს ოპერაციას 28 მარტს გაუკეთებენ. ვარმუზს „მონაკოსთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და სანამ დაშავდებოდა, კლუბი მის განახლებაზე ფიქრობდა. ახლა კი შესაძლოა, მონაკოელებმა მასთან განშორება არჩიონ.

**ესპანური** „ოსასუნას“ ფორვარდმა ვალდომ „სოსიედადთან“ მატჩისას იშვიათი ტრავმა მიიღო, მან თირკმელი დაიზიანა. მადრიდის „რეალის“ ყოფილ თავდამხსმელს უკვე გაუკეთეს ოპერაცია და, ექიმების თქმით, იგი 8-12 კვირა დაისვენებს. 24 წლის ვალდო პრიმერადივიზიონის ლიდერთა შორის მყოფ პამპლონელებს ძალიან დააკლდებათ.

**იტალიური** „პარმას“ ბრაზილიელი ნახევარმცველ ფაბიო სიმპლისიოთი სიცილიური „პალერმოა“ დაინტერესებული. მას ისევ აკვირდებიან „მილანის“ სკაუტებიც. თავად ფეხბურთელს მრავალჯერ უთქვამს, უფრო ძლიერ კლუბში მინდა გადასვლაო. „რომელიმე მაღალი კლასის გუნდში მინდა გადასვლა. მსურს, ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასზე ვითამაშო, თუმცა იქამდე „პარმას“ ყველანაირად დავეხმარები სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად. ეს კლუბი მიყვარს და მისთვის უმაღლეს ლიგაში დარჩენა ძალიან მნიშვნელოვანია. აქ უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა იზრდება“ — აღნიშნა 26 წლის სიმპლისიომ.

**ესპანელი** ფორვარდი ალბერტო ლუკე უახლოეს დღეებში „ნიუკასლის“ პრეზიდენტ ფრედი შეპერდთან შეხვედრას აპირებს. მოგეხსენებათ, „კაჭკაჭებმა“ იგი გასულ ზაფხულს 14 მილიონ ევროდ „დეპორტივოდან“ იყიდეს, მაგრამ ლუკე მალევე დაშავდა და ფორმის აღდგენას დღემდე ვერ ახერხებს. გამორიცხული არაა, მხარეებმა კონტრაქტი გაწყვიტონ და ლუკე სამშობლოში დაბრუნდეს.

# ჟოზე მაურინიუს ექსპრემენტული თეატრი

## ჩელსი შემხვედრებს უწმინდურობით წუწავს



*რობ ელიოტმა, „ნიუკასლის“ მცველმა, „ჩელსის“ თავდამსხმელი შონ რაიტ-ფილიპსი კარიერის ფაქტობრივ დანგრევაში დაადანაშაულა. ოთხშაბათ ღამ „სტემფორდ ბრიჯ ზე“ დატრიალებული ამბები ახლა მთელი საფეხბურთო ინგლისის, მეტიც მთელი ინგლისის სალაპარაკოა.*

*„ჩელსის“ ფეხბურთელთა სიმულანტობამ ამ თამაშში სრულ აპოთეოზს მიაღწია, რისი დაგვირგვინებაც რაიტ-ფილიპსის მიერ მოგონილი ჯარიმა იყო, რომელსაც მეორე ყვითელი და ელიოტის გაძევება მოჰყვა.*



რობ ელიოტი

ისეთმა გამოცდილმა და თვალმახვილმა მსაჯმაც კი, როგორიც სტივ ბენეტია, oინბაზობის ამოცნობა ვერ შეძლო და ელიოტს მინდორი დაატოვებინა. „ჩელსიმ“ სათასო თამაში კი მოიგო, მაგრამ დარჩენილი მეგობრებიც დაკარგა: ასე წერდნენ ინგლისური გაზეთები ბოლო ორ დღეს.

ჟოზე მაურინიუ დუბლს უმიზნებს და ამისთვის არაფერს დაგიდევთ. „ჩელსი“ ფაქტობრივი ჩემპიონია და ახლა თასის ნახევარფინალსაც უწია, ოღონდაც ამით ვერავის პატივისცემას ვერ მოიპოვებს. მაურინიუ, რომელმაც ლამის პოემები შეთხზა ბარსელონელი ლეო მესის სიმულანტობაზე, ახლა გატრუნულია. ალან შირერმა კი თქვა: „როცა „ჩელსისთან“ თამაშობ, უნდა იცოდე, ეგენი მსახიობობენ“.

სამწუხაროდ, შირასთვის ეს იყო კარიერაში ბოლო სათასო შეხვედრა და ამიერიდან თასს როგორც მწვრთნელი, ისე თუ მოიგებს. „ნიუკასლის“ კაპიტანმა თავისი ბოლო სათასო თამაში მსაჯთან საქმის გარჩევით დაასრულა. ელიოტმა კი თქვა: „ჩემი გაძევება ნიშნავს, რომ კვირას ვერ ვითამაშებ. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს მატჩები იმიტომ, რომ კონტრაქტის გახანგრძლივებისთვის ვიბრძვი. რაიტ-ფილიპსის ვერაგობამ ძირითადიდან ამომაგდო, მე კი ძალიან ბევრი ვიბრძოლე იქ მოსახვედრად. ახლა, გაძევების გამო, თამაშს გამომატოვებინებენ და ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო“.

თვით ისეთი მშვიდი კაციც კი, როგორიც „ნიუკასლის“ დროებითი მენეჯერი გლენ როიდერია, სიმწარეთა გამოთქმისგან თავს ვერ იკავებდა. ვინც თამაშს უყურა, ყველამ დაინახა, რომ რაიტ-ფილიპსმა ყოვლად ვერაგულად ისკუპა მაშინ, როცა ელიოტი ყველანაირად ცდილობდა, რომ ის გაეტარებინა და გაატარა კიდეც. მსაჯი ბენეტი ახლა კი ამბობს, შევცდიო და ასოციაციას სთხოვს, ელიოტს წითელი გაუუქმეთო. ნათქვამია, ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო. მანამდე ბენეტმა ყვითლები ჩამოურიგა ჩელსელებს, როგორც მყვინთავებს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გასწვდა.

„ივნინგ სტანდარტმა“ დაწერა, „ჩელსიზე“ უკეთესი მყვინთავი გუნდი მხოლოდ მელბურნის აკვაპარკს შეიძლება ჰყავდესო. „ნიუკასლთან“ თამაშში თავი გამოიჩინეს: ასიერ დელ ორნომ, რომელიც სკოტ პარკერის ვარდნას თეატრალური ნახტომითა და შემდეგ „მძიმე ტრავმით“ შეეგება; ჯერემიმ და დიდიე დროგბამ, რომელიც ასეთ რამეში ადრევე იყო შემჩნეული, ახლა კი უკვე ორჯერ გაკოტრიალდა.

საკვირველი კი აი, რა არის: დროგბა ვაჟკაცი მებრძოლია და აქამდე არასდროს ყოფილა შემჩნეული ყვინთვაში. „ნიუკასლთანაც“ მან ბრწყინვალედ იბრძოლა და ცოტა უხერხულიც იყო, ამხელა კაცი რომ კოტრიალობდა. ასევე ჯერემიც, რომელიც სხვის სიმულაციას თუ წამოეგებოდა ხოლმე, დელ ორნოც ხისტი და თავდაუზოგავი ფეხბურთელია და საყვინთავად არ სცალია.

მთელი „მანჩესტერ სიტი“, რაიტ-ფილიპსის ყოფილი გუნდი, ხატზე დაიფიცებს, რომ ამ ბიჭს არასდროს უმსახიობია და სხვებს დასცინოდა ხოლმე. მამამისმა, იან რაიტმა იმ დღეს ცხვირჩამოშვებულმა დატოვა სტადიონი: რა, რა და, ასეთი ამბების არსი არ ესწავლება.

აქედან კი ის გამოვიდა, რომ ამ ბიჭებს დავალებული აქვთ. ეს არავის გაუგონია, მაგრამ, ყველა ხედავს: „მიდლსბროსთან“ წაგების შემდეგ „ჩელსი“ პროფესიონობით კი არ იგებს თამაშებს, არამედ ტანჯვით და გუნდის განსაკუთრებულობა არაფერში ჩანს, ამ სამარცხვინო სიმულაციის გარდა. საერთოდ, „ჩელსის“ რეპუტაციას ამჟამად ერთადერთი კაცი, მისი კაპიტანი ჯონ ტერი განასახიერებს. სადამდე ეყოფა ჯონ ტერის ჯიგარი ამ საქმეს, ძნელი სათქმელია, მაურინიუს გზა კი ინგლისში სულ უფრო ძნელი და ძნელი ხდება.

**ირაკლი გამყრელიძე**
*ლონდონიდან*

# ანჩელოტის ნაკვალევზე

## სამი აგრძელებს, ერთი წყვეტს



რუი კოშტა

**მას მერე,** რაც კარლო ანჩელოტიმ და ალესანდრო კოსტაკურტამ „მილანთან“ ახალი შეთანხმება გააფორმეს, „როსონერი“ კიდევ სამ ფეხბურთელთან — ალესანდრო ნესტასთან, ჯენარო გატუზოსთან და ნელსონ დიდასთან — აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას.

ზაფხულში „მილანი“ დაცვის გადახალისებას აპირებს. გუნდში ალბათ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მივა. თუმცა ნესტას გაშვება „შავ-წითლების“ გეგმაში ნამდვილად არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ „ლაციოს“ ყოფილ მცველს მსურველები ოხრად ჰყავს.

ჯენარო გატუზო „სან სიროდან“ წასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი გახლდათ. მისთვის ეს სეზონი საუკეთესო ნამდვილად არაა, მაგრამ ბოლო დროს „რინომ“ თითქოს ფორმა დაიბრუნა. ამბობენ, მას ხელფასის გაზრდასაც ჰპირდებიან და პაოლო მალდინის წასვლის შემდეგ კაპიტნის სამკლაურსაც გადასცემენო.

რაც შეეხება დიდას, ბრაზილიელმა გოლკიპერმა მიმდინარე სეზონში რამდენიმე შეცდომა დაუშვა და არადამაჯერებლად თამაშობს. თუმცა „მილანი“ მის შემცვლელზე ჯერ არ ფიქრობს და ბრაზილიელი მაინც გუნდის ძირითად მეკარედ მოიაზრება. მიუხედავად ამისა, ზაფხულში „როსონერის“ ალბათ მოუწევს ერთი მაღალი კლასის კარის დარაჯის ყიდვა, რათა პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრას.

დაბოლოს, მანუელ რუი კოშტაც ვახსენოთ. ამბობენ, პორტუგალიელი ვეტერანი სეზონის ბოლოს სამშობლოში დაბრუნდება და „ბენფიკაში“ ითამაშებსო. 34 წლის ფეხბურთელს მრავალჯერ უთქვამს, მინდა კარიერა პორტუგალიაში დავასრულოო. ლისაბონურ კლუბში ხომ მას სამი წელი გაუტარებია.

**კოკი კანდელაკი**

**პორტუგალია**

**თასის ნახევარფინალი**

**სეტუბალი 1:1დ.დ.(პენ.3:2, 0:0) გიმარაეში**

**ფეხბურთის რუკასთან**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანულმა** „ჰანოვერმა“ ვეტერან მცველ მიხაელ ტარნატთან გაახანგრძლივა კონტრაქტი. 36 წლის ფეხბურთელი კარიერას სულ ცოტა, ერთი წლით მაინც გაიხანგრძლივებს. შეგახსენებთ, რომ იგი „ჰანოვერში“ 2004 წელს „მანჩესტერ სიტიდან“ გადავიდა.

**გერმანული** „ვერდერის“ თავდამსხმელი ნელსონ ვალდესი შესაძლოა „დორტმუნდში“ გადაბარგდეს. მედიის ცნობით, კლუბებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება. პარაგვაელ ფორვარდს ბრემენელთა ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული არ აქვს და დიდი შანსია, წასვლა თავადაც ისურვოს. „ვერდერთან“ მის მოქმედ კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში გასდის ვადა.

**ინგლისური** „მანჩესტერ სიტის“ ამერიკელი ნახევარმცველი კლაუდიო რეინა ოთხი კვირა ვეღარ ითამაშებს. ფეხბურთელს ფაქტობრივად მთელი სეზონი გაუცდა. იანვარში მან კოჭის ოპერაცია გაიკეთა, ახლა კი მხარი დაიშავა.

**ინგლისური** „ტოტენჰემის“ თავკაცმა მარტინ იოლმა აღნიშნა, რომ არსად წასვლას არ აპირებს. ცოტა ხნის წინ ჰოლანდიურმა პრესამ იგი პსვ-ს დაუკავშირა, რომელსაც სეზონის ბოლოს გუუს ჰიდინკი დატოვებს. „მწვრთნელის რანგში „ტოტენჰემი“ ჩემი პირველი კლუბია და ძალიან მიყვარს, გუნდის გამოცვლას ნამდვილად არ ვაპირებ“ — განაცხადა იოლმა.

**პოლონური** „ვისლას“ ახალგაზრდა თავდამსხმელი პაველ ბროჟეკი საუდის არაბეთთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში გამოიძახეს, რომელიც 28 მარტს გაიმართება. 22 წლის ფეხბურთელი ტრამვირებულ დავიდ იანჩიკს შეცვლის.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ახალგაზრდა გოლკიპერი კრის კირკლანდი, რომელიც „ვესტ ბრომვიჩშია“ განათხოვრებული, ისევ დაშავდა. 24 წლის ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში ვეღარ ითამაშებს, მაგრამ კირკლანდს ამაზე მეტად ის აღელვებს, რომ შესაძლოა, მუნდიალზე ვეღარ მოხვდეს. ინგლისის ნაკრების თავკაც სვენ გორან ერიკსონს იგი მესამე მეკარედ ჰყავდა შეგულებული. „ექიმები ამბობენ, რომ 6 კვირა ვეღარ ვითამაშებ. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს ეს ტრავმა არ დამაკარგვინებს“ — თქვა კირკლანდმა.

# ჯერ მოფრინავს ლუდი, მერე ვისკი





**ესპანეთი**

პრიმერადივიზიონი
XXIX ტური

**ატლეტიკო 0:1 სევილია**

0:1 პუერტა (75)

*კანუტმა ვერ გაიტანა პენალტი (წ. მეკარე)*
*სავიოლამ ვერ გაიტანა პენალტი (30 მეკარე)*

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, ა. ლოპესი, პერეა, პაბლო, მანუ (კოლსა 75), გალიტი, იბაგასა, ლუქსენი, მ. პეტროვი, ფ. ტორესი

მწვრთნელი: პეპე მურსია

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დავიდი, დრაგუტინოვიჩი (ესკუდე 10), დანიელ ალვესი, რენატო, ადრიანო კორეირა (პუერტა 65), მარტი, ფ. სალესი, სავიოლა (ხორდი 79), კანუტი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: ლუქსენი, ხავი ნავარო, იბაგასა, ტორესი, ადრიანო კორეირა, ველასკო, პეტროვი, ლუქსენი, პერეა, პეტროვი, პერეა, რენატო

გაძევება: ლუქსენი (72), პეტროვი (80), პერეა (85)

მსაჯი: ანხელ გამესი

40 000 მაყურებელი

**დიდი ამბები** დატრიალდა ხუთშაბათ საღამოს მადრიდულ „ვისენტე კალდერონზე". იქაური „ატლეტიკო" „სევილიას" მასპინძლობდა და სტუმართა გოლით გაცოფებულმა გულშემატკივრებმა ანდალუზიელ ფეხბურთელებს კინაღამ თავ-პირი დაუხეთქეს. არეულობა 82-ე წუთზე დაიწყო — „ათლეტთა" ინჩადამ სტადიონზე ბოთლები და სხვა ათასგვარი საგნები გადმოყარა. „სევილას" მეკარე ანდრეს პალოპს ჯერ თავში ლუდის ქილა მოარტყეს, ხოლო შემდეგ კარგა მოზრდილი ვისკის ბოთლი ესროლეს მაგრამ ააცილეს. დანარჩენ ანდალუზიელებსაც გვარიანი „წვიმა" დაატყდათ და მსაჯმა მიგელ ანხელ გამესმა თამაში შეწყვიტა, რომელიც 25 წუთის შემდეგ არბიტრმა განაახლა და გუნდებმაც მატჩის დარჩენილი დრო მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად ჩაამთავრეს. სევილიელების ტრავმებს და „ატლეტიკოს" 3 გაგდებულ ფეხბურთელს თუ არ ჩავთვლით.

უშუალოდ თამაშს რაც შეეხება, პირველ ტაიმში „სევილიამ" ორი პენალტი დაარტყა და მადრიდელების მეკარე ფრანკომ ორივე აიღო. სტუმართა გოლკიპერი პალოპიც ბრწყინვალე იყო — მთელი შეხვედრის გამნავლობაში ფორვარდების გააფრთებულ იერიშებს იგერიებდა. შესვენების შემდეგ „სევილიამ" შეაგდო — ანტონიო ლოპესის პასს პუერტას საგოლე დარტყმა მოჰყვა. ამან გადარია „ატლეტიკოს" ფანობა და მერე რაც მოხდა, უკვე იცით...

„მოდით, ეს მარცხი ყველამ დავივიწყოთ. გულშემატკივრებს ვთხოვ, დაწყნარდნენ. ჩვენს კარში ორივე პენალტი საეჭვოდ დაინიშნა, თუმცა ისეთი საშინელი არაფერი მომხდარა, მატჩის არევად რომ ღირდეს. ახლა მხოლოდ „კადისთან" შეხვედრაზე ვიფიქრებთ" — განაცხადა ჟურნალისტებთან პეპე მურსიამ, „ატლეტიკოს" დამრიგებელმა.

„მატჩის დროებითი შეწყვეტის შემდეგ „ატლეტიკოს" ფეხბურთელები მოედანზე ჩვენების საცემად დაბრუნდნენ, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. მასპინძლებს მოგება მუჯლუგუნების ხარჯზე უნდოდათ, რაც ვერ მოახერხეს. რა მოხდა მერე, თუ მსაჯმა სტუმარ გუნდს ორი პენალტი დაუნიშნა, ფანების საქციელს ვერაფრით ვერ ვამართლებ. მოიგო იმ გუნდმა, რომელიც გამარჯვებას უფრო იმსახურებდა" — აღნიშნა ხუანდე რამოსმა, „სევილიას" მწვრთნელმა.

**ლადო ხომერიკი**

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბილბაო | : | ოსასუნა |
| მალაგა | : | ბარსელონა |
| ვილიარეალი | : | ბეტისი |
| **ხვალ** | | |
| სევილია | : | ვალენსია |
| კადისი | : | ატლეტიკო |
| სელტა | : | მალიორკა |
| ესპანიოლი | : | ალავესი |
| ხეტაფე | : | სოსიედადი |
| რეალი | : | დეპორტივო |
| რასინგი | : | სარაგოსა |

## ესპანეთი
# ბარსელონას ზურგს უკან



პაბლო აიმარი „ვალენსიას" ვერ დაეხმარება

**პრიმერას** მთავარი ჯახი კვირას გაიმართება „სანტიაგო ბერნაბეუზე" — ლოპეს კაროს „რეალი" გალისიურ „დეპორტივოს" მასპინძლობს. სამეფო გუნდმა ჩემპიონატის ბოლო სამ შეხვედრაში ოდენ სამი ფრე მოიმკო და, ცხადია, მადრიდელები შინაურ არენაზე ნავსის გატეხვას შეეცდებიან. რონალდო ალბათ ძირითადში იქნება. კიჰამ წინა ტურში „სარაგოსას" ერთი ქულა მატჩის ბოლო წუთზე გამოჰგლიჯა და ბრაზილიელს „დეპორთან" სათადარიგოში არავინ დასვამს. ეს ვინძლო რონისთვის კარგი იყოს. სულ ამბობს, „ბერნაბეუს" ფანებს უნდა დავუმტკიცო, რომ ჩემზე ტყუილუბრალოდ არიან გაბრაზებულნიო. და მატჩს ვინ გამოტოვებს? რაღა თქმა უნდა, „მარადიულად" ტრავმებთან დაძმაკაცებული ჯონათან ვუდგეიტი. მან „რეალში" თავის პირველი სეზონი მუხლის ტკივილის გამო გააცდინა, ახლა კი „არსენალთან" მიღებულ ტრავმას შეუწუხებია და „დეპორთან" თამაშს ტრიბუნიდან უყურებს. და ეს მაშინ, როცა მადრიდელთა დაცვას სანქცირებული მეხია და ტრავმირებული რაულ ბრავოც გამოაკლდებიან... მოკლედ, „რეალში" არეულობაა. „დეპორტივო" კი „სანტიაგო ბერნაბეუს" გალაღებული მიაკითხავს. გალისიელებმა „ხეტაფე" და „მალაგა" დააჩოქეს და ახლა მეექვსე ადგილზე არიან. მადრიდში ბრუნდება ექსრეალელი პედრო მუნიტისი, ვინც სრულ საბრძოლო ფორმაშია და დიდი სურვილი აქვს, ყოფილი გუნდის საჯარიმო ააოხროს. ერთი სიტყვით, „რეალი" მეორე საფეხურზე დასამკვიდრებლად იომებს, ხოლო „დეპორტივოს" მიზანი საევროტურნირო ადგილის დაბევებაა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ხოაკიმ კაპაროსის ბიჭები (როგორც „დეპორისნაირ" უცნაურ გუნდს შეეფერება) ამ სეზონში გასვლაზე უფრო იგებენ თამაშებს, ვიდრე შინ.

წინა ტურში ცხრილის მეორეადგილოსნად აღზევებული „ოსასუნა" დღეს „სან მამესზე" „ბილბაოსთან" ჩადის საბრძოლველად. „ატლეტიკს" სეგუნდაში გასავარდნი პოზიციებისგან ორი ქულა აშორებს და ალბათ „ოსასუნას" რთული ჯახი ელოდება.

შაბათსვე პრიმერას აუტსაიდერი „მალაგა" ლიდერ „ბარსას" ღებულობს. კატალონიელებს „ბენფიკასთან" სალიგო მატჩი კარზე მოადგათ, თან პუიოლი, ედმილსონი და მარკესი და რონალდინიო არ ეყოლებათ. მათ პრიმერაში ჩემპიონობა თითქმის განაღდებული აქვთ და იქნებ საბრალო „მალაგას" რაიმე ეშველოს.

„ვალენსია" „სევილიასთან" „სანჩეს პისხუანზე" ტრავმირებული აიმარის გარეშე ითამაშებს. არც ვისენტეს გამოჩენაა მოსალოდნელი. კლუივერტი და ფაბიო აურელიო კი დიდი ხანია, „ღამურათა" ლაზარეთში არიან.

„ესპანიოლი" „ალავესთან" სანქციამოხდილ ტამუდოს და ლუის გარსიას დაიბრუნებს. „ხეტაფეს" „სოსიედადთან" ომში სელესტინი და ბელენგერი დააკლდებიან, ბასკებს კი ახალი მწვრთნელი ჰყავთ — ხოსე ბაკერო. გუნდის ხელმძღვანელობამ სეგუნდასთვის განწირული „სოსიედადი" „ბარსას" ძველ ვარსკვლავს მეტად მძიმე დროს ჩააბარა.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:0 | | 2:2 | 2:1 | 3:2 | | 2:0 | 1:3 | 2:2 | 3:1 | 4:1 | 2:0 | | 2:1 | 2:0 | 5:1 | 5:0 | | 2:0 |
| 2 | ოსასუნა | 2:1 | | | | 1:0 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 2:1 | 1:1 | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 3:2 | 3:2 | 0:2 | 2:0 | 2:0 | |
| 3 | რეალი | 0:3 | 1:1 | | 1:2 | 4:2 | | | 2:3 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 1:2 | 4:0 | 4:0 | 3:1 | 3:0 | 0:0 | | 3:1 | |
| 4 | ვალენსია | 1:0 | 2:0 | 0:0 | | 0:2 | 2:2 | 1:1 | 2:0 | | 2:2 | 1:1 | 1:1 | 3:0 | | 1:1 | | 1:0 | 2:1 | | 2:1 |
| 5 | სევილია | | 0:1 | | | | 0:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | | | 1:0 | 1:1 | 1:1 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 3:2 | 0:0 | 3:1 |
| 6 | დეპორტივო | 3:3 | 0:1 | 3:1 | 0:1 | | | 0:2 | | 1:0 | 1:1 | 1:0 | | 2:2 | 1:2 | | 0:2 | 1:1 | 0:1 | 1:0 | 2:1 |
| 7 | ვილიარეალი | 0:2 | 2:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | | 1:2 | 1:1 | 0:0 | 2:1 | | 3:0 | 4:0 | 3:1 | 3:2 | | | 1:1 | |
| 8 | სელტა | | 2:0 | 1:2 | | 2:1 | 0:3 | 1:0 | | 2:1 | | | 0:1 | | 1:0 | 0:1 | 2:1 | 2:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 |
| 9 | ატლეტიკო | 2:1 | | 0:3 | 0:0 | 0:1 | 3:2 | 1:1 | | | 0:0 | 0:1 | 2:1 | | 1:1 | | 1:1 | | 1:0 | 3:0 | 5:0 |
| 10 | სარაგოსა | 0:2 | 3:1 | 1:1 | 2:2 | 0:2 | 1:1 | | 1:0 | 0:2 | | 1:2 | 1:1 | 3:1 | | 3:2 | | 4:3 | 0:1 | | 1:1 |
| 11 | ხეტაფე | 1:3 | 0:0 | | 2:1 | 1:0 | 1:2 | | 1:1 | 0:3 | 5:2 | | 1:2 | 1:1 | 5:0 | 1:1 | 2:2 | 1:0 | | | 3:2 |
| 12 | რასინგი | | | | 2:1 | 2:3 | 0:3 | 1:0 | 0:1 | 0:1 | | | | 0:0 | 1:0 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 |
| 13 | მალიორკა | 0:3 | | 2:1 | | 1:1 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 2:2 | | 1:1 | 0:0 | | | 0:1 | | 1:1 | 5:2 | 1:0 | 1:4 |
| 14 | ესპანიოლი | 1:2 | 2:4 | 1:0 | 1:3 | 5:0 | | 1:2 | 2:0 | | 2:2 | 0:2 | 0:2 | 2:0 | | 1:1 | | | | 0:2 | 3:1 |
| 15 | ბილბაო | | | 0:2 | | 0:1 | 1:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 0:0 | | 1:1 | | 0:2 | 2:0 | 3:0 | 1:0 | 1:2 |
| 16 | ალავესი | 0:0 | | 0:3 | 0:1 | 2:1 | | 1:1 | 1:0 | | 0:2 | 3:4 | 2:2 | 0:3 | 1:1 | | | | 3:1 | 0:0 | 3:2 |
| 17 | ბეტისი | 1:4 | 1:0 | 0:2 | 0:2 | | 0:1 | 2:3 | | 1:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | | 0:0 | | 3:0 | | 2:0 | 1:1 | 1:1 |
| 18 | სოსიედადი | 0:2 | 1:2 | 2:2 | 1:2 | | 2:0 | 1:3 | | 3:2 | 1:3 | 3:0 | | 2:1 | 0:1 | 3:3 | 2:1 | 1:1 | | 2:0 | |
| 19 | კადისი | 1:3 | 1:3 | 1:2 | 0:1 | 0:4 | | 1:1 | 1:1 | | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 1:0 | 0:0 | | | | |
| 20 | მალაგა | | 1:2 | 0:2 | 0:0 | | 1:1 | 0:0 | 0:2 | 0:2 | 0:1 | | | 0:2 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 5:0 | 3:1 | 0:2 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 29 | 21 | 4 | 4 | 69:26 | 67 | 12 | 2 | 1 | 40:14 | 38 | 9 | 2 | 3 | 29:12 | 29 |
| 2 | ოსასუნა | 29 | 17 | 4 | 8 | 41:32 | 55 | 11 | 2 | 2 | 25:13 | 35 | 6 | 2 | 6 | 16:19 | 20 |
| 3 | რეალი | 29 | 16 | 6 | 7 | 51:27 | 54 | 9 | 2 | 4 | 30:16 | 29 | 7 | 4 | 3 | 21:11 | 25 |
| 4 | ვალენსია | 29 | 14 | 11 | 4 | 39:24 | 53 | 7 | 7 | 1 | 21:12 | 28 | 7 | 4 | 3 | 18:12 | 25 |
| 5 | სევილია | 29 | 14 | 6 | 9 | 37:30 | 48 | 8 | 4 | 2 | 17:9 | 28 | 6 | 2 | 7 | 20:21 | 20 |
| 6 | დეპორტივო | 29 | 13 | 7 | 9 | 40:33 | 46 | 5 | 4 | 6 | 16:18 | 19 | 8 | 3 | 3 | 24:15 | 27 |
| 7 | ვილიარეალი | 29 | 11 | 12 | 6 | 39:28 | 45 | 7 | 5 | 2 | 22:12 | 26 | 4 | 7 | 4 | 17:16 | 19 |
| 8 | სელტა | 29 | 14 | 3 | 12 | 29:29 | 45 | 10 | 0 | 4 | 18:11 | 30 | 4 | 3 | 8 | 11:18 | 15 |
| 9 | ატლეტიკო | 29 | 11 | 9 | 9 | 39:28 | 42 | 6 | 5 | 3 | 19:12 | 23 | 5 | 4 | 6 | 20:16 | 19 |
| 10 | სარაგოსა | 29 | 9 | 13 | 7 | 39:38 | 40 | 5 | 5 | 5 | 21:22 | 20 | 4 | 8 | 2 | 18:16 | 20 |
| 11 | ხეტაფე | 29 | 10 | 7 | 12 | 38:39 | 37 | 6 | 5 | 4 | 25:20 | 23 | 4 | 2 | 8 | 13:19 | 14 |
| 12 | რასინგი | 29 | 7 | 11 | 11 | 26:33 | 32 | 3 | 4 | 7 | 11:17 | 13 | 4 | 7 | 4 | 15:16 | 19 |
| 13 | მალიორკა | 29 | 7 | 10 | 12 | 29:43 | 31 | 4 | 6 | 4 | 16:18 | 18 | 3 | 4 | 8 | 13:25 | 13 |
| 14 | ესპანიოლი | 29 | 8 | 7 | 14 | 30:46 | 31 | 5 | 2 | 7 | 21:21 | 17 | 3 | 5 | 7 | 9:25 | 14 |
| 15 | ბილბაო | 29 | 7 | 9 | 13 | 31:38 | 30 | 4 | 5 | 5 | 13:13 | 17 | 3 | 4 | 8 | 18:25 | 13 |
| 16 | ალავესი | 29 | 7 | 9 | 13 | 31:45 | 30 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 17 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| 17 | ბეტისი | 29 | 7 | 9 | 13 | 25:39 | 30 | 6 | 4 | 5 | 14:14 | 22 | 1 | 5 | 8 | 11:25 | 8 |
| 18 | სოსიედადი | 29 | 8 | 4 | 17 | 35:55 | 28 | 6 | 3 | 6 | 24:23 | 21 | 2 | 1 | 11 | 11:32 | 7 |
| 19 | კადისი | 29 | 6 | 8 | 15 | 20:37 | 26 | 3 | 4 | 7 | 12:20 | 13 | 3 | 4 | 8 | 8:17 | 13 |
| 20 | მალაგა | 29 | 5 | 7 | 17 | 30:48 | 22 | 3 | 4 | 8 | 13:18 | 13 | 2 | 3 | 9 | 17:30 | 9 |



# გამაგორებინეთ!

## ჩიტივით მსუბუქი მეფე

**ფეხბურთის** მეფეს, დიეგო მარადონას უთქვამს, ანგოლის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მოედანზე გასვლის და შეხვედრის ბოლო ხუთი წუთში, მაინც, ბურთთან ძველებურად ლაღობის უფლება მომეცითო.

საქმე არგენტინა — ანგოლის ამხანაგურ მატჩს ეხება, რომელსაც ხსენებული გუნდები 31 მაისს ნეაპოლში გამართავენ. შეხვედრის ორგანიზატორებს, ბურთზე პირველი შეხების პატივი ნეაპოლელთა მიერ გაღმერთებული მარადონასთვის მიუკუთვნებიათ, თუმცა, დიეგო ამას არ დასჯერდა და მოედანზე თუნდაც 5 წუთით „ალბისელესტეს“ ფეხბურთელად უნდა ყოფნა. ახლა ორგანიზატორები არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას მიმართავენ თხოვნით, დიეგოს „ფეხბურთში დაბრუნების“ ნება დართეთო. მარადონას 5 წუთი ბურთის გორება წესით, არ უნდა დაუჭირდეს. ოპერაციის მერე ზედმეტი წონა დაიგდო და როგორც თავად აცხადებს, „ჩიტივით მსუბუქია“.

**ლადო ხომერიკი**

# რაღა დროს ტოლდოა

**„ინტერის“** მეკარემ ფრანჩესკო ტოლდომ ერთხელაც დაადასტურა, რომ იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მისი დახმარება არ სჭირდება ანუ 34 წლის გოლკიპერი ამასწინათ ტყუილად მოიხსენიეს იმ სამ კაცში, რომელმაც ვითომდა გერმანიაში „სკუადრა აძურას“ ღირსება უნდა დაიცვას. მეორე მხრივ, ნაკრებში თამაში სამშობლოს სამსახურია, მსოფლიოს ჩემპიონატი კი უდიდესი შეჯიბრება.

„ძალიან ბედნიერი ვარ ამ ბოლო დროს ოჯახში დიდ ხანს ყოფნას რომ ვახერხებ, მაგრამ თუკი მარჩელო ლიპი დამიძახებს, მყისვე მის სამსახურში ჩავდგები — თქვა „ფიორენტინას“ ყოფილმა კარის მცველმა, ოღონდ იქვე დასძინა — თუმცა, ისიც სათქმელია, რომ იტალიის ნაკრები მთლიანად კარგად დაკომპლექტებული ჩანს და გულწრფელად გეუბნებით, არა მგონია მისთვის დიდი სარგებლობის მოტანა შევძლო“.

ცნობილია, რომ ლიპის გუნდში მთავარი მეკარე იუვენტუსელი ჯანლუიჯი ბუფონი იქნება, ხოლო მის თადარიგში „ლაციოს“ კარის მცველი ანჯელო პერუცია ნავარაუდევი. დარჩა მესამე ადგილი, რომლისთვისაც ერთმანეთს უდინელი მორგან დე სანკტისი და ლივორნოელი მარკო ალმეიდა გაუწევენ კონკურენციას.

ერთი სიტყვით, ტოლდოს ადგილი აძურა-2006-ში მართლა არ ჩანს, მითუფრო, რომ მან 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლის შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა.

ფრანჩესკო ტოლდო ფეხბურთიდან წასვლას 2009 წელს აპირებს, როდესაც „ინტერთან“ კონტრაქტი ეწურება.

**პაპუნა ქედია**



# იტალია

## ხელისუფლება ოპოზიციის წინააღმდეგ



ჯანლუკა ძამბროტა

**„იუვენტუსი“** და „მილანი“ დღეს სერიას A-ს მეოთხე ადგილისთვის მებრძოლ გუნდებს ხვდებიან — ტურინელები „რომას“, მილანელები კი „ფიორენტინას“ მასპინძლობენ. რატომ დღეს და არა ხვალ? იმიტომ, რომ მათ, ისევე როგორც „ინტერს“, მომავალი კვირის შუაში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები ელით. „იუვე“ „არსენალს“ ხვდება, „მილანი“ „ლიონს“, ხოლო „ინტერი“ „ვილიარეალს“.

„იუვენტუსის“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთვის „რომასთან“ შეხვედრა ყოველთვის საგანგებო მოვლენაა, ვინაიდან მან „ჯალოროსის“ სათავეში არც მეტი არც ნაკლები ხუთი სეზონი გაატარა და 2001 წელს გუნდი იტალიის ჩემპიონიც გახადა, თუმცა შემდეგ ყველასთვის სრულიად მოულოდნელად ტურინში გადაბარგდა, რითაც რომაელთა გვარიანი გაღიზიანება გამოიწვია. ერთი სიტყვით, „რომა“ „ბებერ ქალბატონს“ ტრადიციისამებრ, ალბათ, ბრაზიან წინააღმდეგობას გაუწევს და საამისოდ დამატებითი მოტივაციაც ექნება — პირველ წრეში „იუვემ“ რომში მოიგო 4:1.

მაგრამ... ჯალოროსის, მოგეხსენებათ, კაპიტანი, ლიდერი და თილისმა ფრანჩესკო ტოტი ჰყავს დაშავებული და, თან რაც ეს მოხდა, „რომა“ ისეთ ფორმაში ველარ არის ზედიზედ 11 გამარჯვებისსას რომ იყო. თუმცა, საკითხს ასეც შეიძლება შევხედოთ, ლუჩანო სპალეტის ბიჭები იმაზე უკეთეს ფორმაში არიან ზემოხსენებული პირველი წრის შეხვედრისას რომ იყვნენ.

ფაბიო კაპელოს კი ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე, ჯანლუკა ძამბროტა გამოუჯანმრთელდა.

